ირინა მაჭავარიანი

მისურის უნივერსიტეტი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ikimm1121@gmail.com

„ევროპიდან ხართ, თუ ახლო აღმოსავლეთიდან?“ – დევნილების თემის გაშუქების ეთიკური სტანდარტები დასავლურ მედიაში, უკრაინის ომის საწყისი ეტაპის მაგალითზე

რეზიუმე

რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა უკრაინაში ათასობით უკრაინელს აიძულა, საკუთარი სახლები დაეტოვებინათ და თავშესაფარი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეძებნათ. ლტოლვილების ამ ახალი ტალღის გამოჩენამ დასავლურ მედიაში დამკვიდრებული ერთ-ერთი მიდგომა წარმოაჩინა: ომის დასაწყისში ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტები ერთმანეთისგან გამოყოფდნენ „თეთრკანიან, ევროპელ” ლტოლვილებსა და „მესამე მსოფლიოდან” დევნილებს. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ მოიხსენიებდა ლტოლვილებს „სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდან,” რომლებიც უკრაინელებს არ ჰგავდნენ.

ეს კვლევა საფუძვლად იყენებს ჟურნალისტურ მასალას, რომელიც უკრაინელი ლტოლვილების დასავლეთში თავდაპირველი გამოჩენისას გამოქვეყნდა. კვლევაში ეს მასალა შედარებულია გაშუქების იმ ფორმასთან, რომელსაც დასავლელი ჟურნალისტები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებზე საუბრისას იყენებენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ რიტორიკას 2014 წელს, როდესაც ევოროპაში „სირიელი მიგრანტების კრიზისი” დაიწყო.

ნაშრომი საკითხს ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებით აფასებს და მიზნად ისახავს გამოიკვლიოს კონფლიქტების გაშუქების უფრო ემპათიური, ყოვლისმომცველი და პასუხისმგებლიანი ფორმები.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტური ეთიკა, დევნილები, ახლო აღმოსავლეთი, უკრაინა, თანაგანცდა.

2022 წლის 23 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და სუვერენულ მეზობელთან ომი დაიწყო. ომი ევროპის კონტინენტზე სწრაფად იქცა დასავლელი მედიასაშუალებების მთავარ ახალ ამბად. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ჟურნალისტების საქმიანობამ ომის ეპიცენტრიდან პულიცერის პრიზი დაიმსახურა (Triesman 2022), მათი დასავლელი კოლეგების გაშუქებამ კი საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა.

ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული ტელესივრცე ომის პირველ დღეებში აქტიურად ეთმობოდა ომის თემას. ჟურნალისტებმა, რომლებიც მოვლენებს პირდაპირ ეთერში აღწერდნენ, არაერთხელ შეადარეს უკრაინის მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთისას. კერძოდ, მათ განსხვავების ხაზი გაავლეს ქერა, ცისფერთვალება უკრაინელებსა და ახლო აღმოსავლეთიდან დევნილებს შორის. დასავლურ ტელეეთერებში ომის პირველ კვირაში შემდეგი ფრაზები ისმოდა: „ეს განვითარებადი, მესამე მსოფლიოს ქვეყანა არაა. ეს ევროპაა” (Hellyer 2022, § 3); „ჩვენ არ ვსაუბრობთ სირიელებზე, რომლებიც სირიული რეჟიმის ბომბებს გაურბიან” (Hellyer 2022, § 3).

თუმცა, ყველაზე დასამახსოვრებელი კომენტარი მაინც ჩარლი დ'აგატამ გააკეთა, როცა კიევიდან ტელეარხ CBS-ს ჩაერთო:

> ეს არ არის ერაყი ან ავღანეთი, – მათდამი პატივისცემის მიუხედავად – სადაც კონფლიქტი უკვე ათწლეულებია მძვინვარებს. იცით, ესაა შედარებით ცივილური, შედარებით ევროპული – ეს სიტყვებიც ფრთხილად უნდა შევარჩიო – ქალაქი, სადაც მსგავსს არ უნდა მოელოდე (Hellyer 2022, § 1).

ეს ნაშრომი სწორედ დ'აგატას და მისი კოლეგების რეპლიკებს განვიხილავს და შეეცდება დაადგინოს ორი რამ:

1. რა გავლენა აქვს ჟურნალისტების მიერ შერჩეულ სიტყვებსა და გადმოცემის ფორმას მაყურებელზე;
2. ჯდება თუ არა გადმოცემის ფორმა, რომელიც დასავლელმა ჟურნალისტებმა რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისში მიგრაციაზე საუბრისას შეარჩიეს, ჟურნალისტური ეთიკის ნორმებში.

ნაშრომი ასევე შეეხება მექანიზმებს, რომლებიც ჟურნალისტებს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და მიგრაციის თემაზე უფრო ემპათიური მიდგომების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

შემთხვევის განხილვა: რა ზიანს აყენებენ ჟურნალისტები დევნილებს?

ბევრი ადამიანი სამყაროზე წარმოდგენას, ძირითადად, ახალი ამბების მოსმენით იქმნის. ამბები, რომლებსაც მედიასაშუალებები გასაშუქებლად ირჩევენ, არის ერთგვარი „მატერიალური საყრდენი, რომლის გამოყენებითაც ჟურნალისტები ქმნიან საგნებისა და ადამიანების საზრისს" (Bauder 2010, 16). შესაბამისად, ჟურნალისტებს აქვთ ძალაუფლება, რომლითაც მათ საზოგადეობის მოსაზრებებსა და განწყობებზე ზემოქმედება შეუძლიათ.

არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა მედიის როლს საზოგადოების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მაშინ, როცა საქმე მიგრაციას და ეთნიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ განსხვავებებს ეხება. 11 სექტემბრის შემდეგ დასავლურმა მედიამ და გართობის ინდუსტრიამ არაბები და არაბი ამერიკელები ტერორისტებად შერაცხა (Alsultany 2013). 2014 წლის სირიის კრიზისის შემდეგ მსგავსი ტენდენცია გამოჩნდა ევოპულ პრესაში, სადაც ჟურნალისტები ხშირად წერდნენ, რომ არასასრუველი ადამიანების „ზღვა" ევროპული სახელმწიფოების საზღვრებს „აწყდებოდა" (Patrascu 2015, 5).

დ'აგატასა და მისი კოლეგების რეპლიკები, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიე, ამ ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა. მათ ერთმანეთს დაუპირისპირეს დევნილები სხვადასხვა კონტინენტებიდან და შექმნეს განცდა, თითქოს ადამიანის სიცოცხლე და უსაფრთხოება მხოლოდ ევროპაში ფასობს, კონფლიქტურ რეგიონებში კი – სირიასა და ავღანეთში, რომლებიც კულტურულად განსხვავებულები არიან ერთმანეთისგან – ომი ჩვეულებრივი მდგომარეობაა და მას უკვე მიჩვეულებიც უნდა ვიყოთ.

რას ნიშნავს ასეთი გზავნილები აუდიტორიისთვის? ისინი ამწვავებს ევოპული უპირატესობის განცდას და აუფასურებს სხვა კონტინენტის მკვიდრთა ტკივილს. მსგავსი ტენდენცია მედიის მკვლევარებმა 2004 წელსაც გააკრიტიკეს, როდესაც ახალ ამბებზე დაკვირვების შედეგად აღმოაჩინეს, რომ „დასავლეთში მომხდარი მძიმე ამბავი მორალურ აღშფოთებას იწვევს, სადმე აფრიკაში მომხდარი კი უბრალოდ ტრაგედიაა" (Persson 2004).

გაშუქების ასეთი ფორმის არჩევით დასავლელი ჟურნლისტები ავლენენ მიკერძოებასა და დასავლური უპირატესობის განცდას. ხშირად, ისინი კარგავენ პასუხისმგებლობის გრძნობას, რადგან არც კოლეგებისა და არც აუდიტორიისაგან ზეწოლას არ გრძნობენ – დ'აგატამ, მაგალითად, ბოდიში მოიხადა, თუმცა არც მას და არც მის დამსაქმებელ მედიასაშუალებას არ შექმნიათ პროფესიული პრობლემა.

მედიამკვლევარი სისელა ბოკი, რომელიც აქტიურად მუშაობდა ახალი ამბების შექმნისას, ჟურნალისტისა და რედაქტორის პირადი პასუხიმგებლობის საკითხებზე, ამბობს, რომ როცა ჟურნალისტს თავისი სათქმელის ფორმასა და შინაარსზე სრული კონტროლი აქვს, მისი სინდისი ხშირად ხდება „დამყოლი და ელასტიური" (Bok 1989, 94). ის საკუთარ ნათქვამს კრიტიკულად აღარ აფასებს და არც აუდიტორიის მიმართ ანგარიშვალდებულებას გრძნობს.

ანგარიშვალდებულების „შემოწმება" ერთგვარი ხერხია სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტებისთვის. ის მარტივ პრინციპზეა დაფუძნებული: გზავნილის ავტორმა უნდა შეძლოს საკუთარი ქცევის გამართლება „არა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავთან, არამედ სხვა ადამიანებთანაც" (Bok 1989, 91). ბოკი ამბობს, რომ აუცილებელია იმის ახსნა, თუ რატომ არის ჟურნალისტის საქციელი სამართლიანი, სწორი და მიზანშეწონილი (Bok 1989). როცა მსგავსი რამ არ ხდება, ჟურნალისტი ვერ ახერხებს მოსალოდნელი ზიანის სწორ შეფასებას.

რას ამბობს ჟურნალისტური ეთიკა?

სწორედ ფასის – უარყოფითი და დადებითი შედეგების – სწორად განსაზღვრისათვის არის ჟურნალისტური ეთიკა მნიშვნელოვანი. ქვემოთ შევაფასებ დასავლელი ჟურნალისტების არჩევანს ეთიკის ნორმების შესაბამისად.

ახალი ამბების შეგროვებასა და გადმოცემაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჟურნალისტის საქმიანობა ბევრ რამეში ბიუროკრატიულ პრინციპებზეა დამოკიდებული (Shudson 1997). ბევრი წესი და საუკეთესო პრაქტიკა ამ პროფესიაში უკვე კარგად დამკვიდრებულია და სხვადასხვა გამომცემლობების მუშაობის პრინციპი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. შესაბამისად, ეთიკური გაშუქების ნორმებიც არის ფურცელზე გაწერილი და კოდირებული – ამერიკული ჟურნალისტების საზოგადოებას აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ამ სფეროში დასაქმებულებს ქცევის გარკვეულ ნორმებს უწესებს. თუმცა, ეს კოდექსი არაა უნივერსალური ყველა მედიამუშაკისთვის. მეტიც, მას არ მოჰყვება აღსრულების ვალდებულება. რთული და ემოციური საკითხების გაშუქებისას – ტრავმის, ძალადობის, ომის, ჰუმანიტარული კატასტროფის თუ მიგრაციის – ჟურნალისტებმა ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად უნდა აწონ-დაწონონ შემთხვევა და გარემოებიების შესაბამისად საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღონ.

ზემოთ განვიხილეთ სისელა ბოკის მიერ შემუშავებული მეთოდი, რომლითაც ჟურნალისტებს საკუთარ თავთან დისკუსიაში შესვლა შეუძლიათ. ახლა კი განვიხილავთ ეთიკის ნორმებს, რომლებიც, მხოლოდ ჟურნალისტებისთვის არაა განკუთვნილი, მაგრამ შეესაბამება მათ საქმიანობას. იმ ფილოსოფოსების ნააზრევი, რომლებიც ზნეობისა და მორალის საკითხებს იკვლევდნენ, მედიის მკვლევარებმა საკუთარ დარგშიც დაამკვიდრეს.

ოქროს შუალედი

ზნეობისა და კეთილდღეობის საკითხებზე საუბარი არისტოტელეს ნააზრევით შეგვიძლია დავიწყოთ. ბერძენი ფილოსოფისის მიერ განსაზღვრული „ოქროს შუალედის" ცნებას ჟურნალისტები აქტიურად იყენებენ ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებისას (Wilkins et al. 2021).

მარტივად, ოქროს შუალედი გულისხმობს ბალანსს ორ უკიდურესობას – გადამეტებასა და დანაკლისს – შორის. ჟურნალისტებისთვის, „ოქროს შუალედით" ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მათ მიერ გაშუქებული ამბის შედეგის განსაზღვრას – რა იქნება საუკეთესო ფორმა, რომელიც ამბავს ყველაზე შესაფერისი სიმძაფრით გადმოსცემს? არისტოტელე ამბობს, რომ ზნეობრივი გადაწყვეტილების მიღება ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად ხდება, განსჯისა და შეფასების შედეგად (Wilkins et al. 2021) და ჟურნალისტებიც ყოველ ჯერზე უნდა დაფიქრდნენ მოსალოდნელ შედეგებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დ'აგატას და მის კოლეგების არჩევანი ასეთი იყო:

ა) მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ არა-ფაქტობრივი, თუმცა ხმამაღალი განცხადებები, რომლებიც დასავლურ აუდიტორიაზე ემოციურ გავლენას მოახდენდა – მათ, ნაწილობრივ, გააკეთეს კიდეც ეს.

ბ) მათ შეეძლოთ მშრალად, ადამიანური ფაქტორის გაუთვალისწინებლად გადმოეცათ ფაქტი, რომ რუსული დანაყოფები უკრაინის ტერიტორიაზეა და ადამიანებს გაქცევა უწევთ.

გამოცდილ ჟურნალისტებს უნდა შეეფასებინათ, რას მოიტანდა თითოეული არჩევანი. დ'აგატას, მაგალითად, შეეძლო გაეთვალისწინებინა კოლეგების გამოცდილება ომის გაშუქებისას და შეერჩია ფაქტებზე დაფუძნებული, თუმცა მაინც ემპათიური მიდგომა, რომელიც არ იქნებოდა ადამინების ერთი ჯგუფის დამცირებაზე აგებული. თუ მას საკითხის კონტექსტში განხილვა სურდა, შეეძლო შეერჩია უფრო ზუსტი პარალელები რეგიონის ისტორიიდან – დღევანდელი ომი არაა რუსეთის პირველი კონფლიქტი რეგიონში და დ'აგაატას თავისუფლად შეეძლო რუსეთის აგრესიის მსხვერპლ ქვეყნებზე ესაუბრა, ანდა რუსეთ-უკრაინის უახლოესი წარსულის განხილვაზე გაემახვილებინა ყურადღება.

„ოქროს შუალედის" ძიებაში დ'აგატამ ცალსახად გადამეტებისა და შესაბამისად, ზიანის მიყენების გზა არჩია, ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჟურნალისტი არისტოტელეს ეთიკის გამოცდას ვერ ჩააბარებდა.

კატეგორიული იმპერატივი

შემდეგი მნიშვნელოვანი „აღმოჩენა" ეთიკის საკითხებში იმანუელ კანტს ეკუთვნის. გერმანელმა ფილოსოფოსმა მე-18 საუკუნეში კატეგორიული იმპერატივის ცნება ჩამოაყალიბა: „მოიქეცი ისე, რომ შენი ნების მაქსიმას მუდამ ჰქონდეს საყოველთაო კანონმდებლობის ძალა" (Kant 1988, 93).

ეს მიდგომა, ძირითადად, მოვალეობის შეგრძნებას ეფუძნება, რომელსაც კანტი განსაკუთრებით აფასებდა (Kant 1988). პროფესიულ კონტექსტში ეს მიდგომა ამბობს, რომ დაუშვებელია ადამიანების გასაგნება და მათი გამოყენება საკუთარი მიზნის მისაღწევად (Wilkins et al. 2021). ჩემ მიერ განხილულ მაგალითში დასავლელმა ჟურნალისტებმა არაევროპელები – ძირითადად სირიელები და ავღანელები – გამოიყენეს კარიკატურებად სენსაციის მოსახდენად. მათ ტრივიალურად აქციეს ომის სიმძიმე და ადამიანური დანაკარგი.

კანტის კატეგორიული იმპერატივი ასევე ახსენებს „საყოველთაო კანონმდებლობას", რომელიც გულისხმობს, რომ ჟურნალისტის მიერ შერჩეული გაშუქების ფორმა – ამ შემთხვევაში, შეჯიბრი დევნილთა შორის – უნდა იქცეს იმ ნორმად, რომელიც ჟურნალისტებმა დევნილებზე საუბრისას უნდა გამოიყენონ ხოლმე.

გამოდის, რომ შემდეგ ჯერზე, როცა დ'აგატა დევნილებზე ისაუბრებს, მან აუცილებლად უნდა შეადაროს ისინი სხვა კონტინენტის მცხოვრებლებს და ხაზი გაუსვას ერთის ცივილურობას მეორეს „ველურობასთან" საპირწონედ. დააფასებდა თუ არა კანტი თავისი ნააზრევის ასეთ ინტერპრეტაციას? ვგონებ, არა – შესაბამისად ეთიკის გამოცდას დ'აგატა და კოლეგები ვერც კანტთან ჩააბარებდნენ.

უტილიტარიანიზმი

დ'აგატა და მისი კოლეგები ყველაზე ახლოს ჯონ სტუარტ მილისა და ჯერემი ბერთრამის უტილიტარიანიზმის იდეასთან არიან. უტილიტარიანიზმის მიზანია, მოუტანოს მაქსიმალური სარგებელი ადამიანების ყველაზე დიდ რაოდენობას, ანუ, ეთიკურია „ის, რაც ყველაზე მეტი სიხარულის, ანდა ყველაზე ნაკლები ტანჯვის მომტანია – ანუ, საუკეთესო ბალანსია – სიამოვნებასა და ტკივილს შორის, უმრავლესობისთვის" (Dyck 1977, 55).

კანტის კატეგორიული იმპერატივისგან განსხვავებით, უტილიტარიანიზმი მისცემდა დ'აგატას ახლო აღმოსავლელების საკუთარი მიზნისთვის გამოყენების უფლებას, თუ:

ა) მათი გასაჭირის წარმოჩენა ყველაზე მეტ ადამიანს არგებდა და ფაქტობრივად, ომის შეწყვეტის საწინდარი იქნებოდა;

ბ) დევნილთა გასაჭირის მიმართ თანაგანცდას გამოიწვევდა ადამიანების მაქსიმალურად დიდ რაოდენობაში.

რეალურად, ამ ფრაზებმა არც უკრაინელებს არგო რაიმე და მითუმეტეს არც ახლო აღმოსავლელებს, რომლებსაც უმიზნოდ მიაყენეს შეუარცხყოფა. ასეთ გაშუქებას არც მიმდიმარე მოვლენებისთვის მოუფენია სინათლე და არც რუსეთ-უკრაინის ომის ანალიზში შეუტანია წვლილი. თუ ვიკითხავთ, ნახა თუ არა სარგებელი ადამიანების ყველაზე დიდმა შესაძლო რაოდენობამ? პასუხი იქნება - არა. შესაბამისად დ'აგატას და კოლეგების დაუფიქრებლობას ვერც უტილიტარიანიზმის მიმდევრები გაამართლებენ.

ზრუნვის ეთიკა

ზრუნვის ეთიკა, როგორც მიმართულება მორალის ფილოსოფიაში, შედარებით ახალია და ფემინისტური ნააზრევიდან წარმოიშვა. ის ამბობს, რომ მორალური გადაწვეტილების მიღებისას აუცილებელია ინტერპესონალური კავშირებისა და კონტექსტის გათვალისწინება. ეს მიდგომა ეფუძნება პირდაპირ კომუნიკაციასა და თანაგანცდას. სწორედ ინტერესი თითოეული პიროვნების მიმართ განაპირობებს თანაგანცდას, რომელიც შემდგომ საზოგადოებრივ სივრცეშიც შეიძლება გადავიდეს (Hossain and Aucoin, 2018).

კომუნიკაციასა და კონტექსტზე დამოკიდებული ხედვა ჟურნალისტებს აძლევს საშუალებას, უფრო მეტი დრო დაუთმონ დისკრიმინაციის საკითხებსა და მოწყვლად ჯგუფებს, მაგალითად, ქალებს, ბავშვებსა და დევნილებს (Hossain and Aucoin, 2018). ასეთი მიდგომა, ზოგიერთის მოსაზრებით, თანასწორობის საწინდარია (Buzzanell 2011) და უნივერსალურ ეთიკურ ნორმად უნდა ჩაითვალოს (Blum 1993). თუმცა, პირად კავშირზე დაფუძნებულ პრაქტიკას ჟურნალისტიკის სფეროში მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რადგან ზოგიერთის აზრით, ის მიუკერძოებლობის სტანდარტს არღვევს – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეტაფორა ჟურნალისტიკაში არის ცნობილი „ბუზი კედელზე" (Wilkins et al. 2021) რაც იმას გულისხმობს, რომ ჟურნალისტი რესპონდენტთან ზედმეტად ახლო კავშირში არ უნდა შევიდეს და მხოლოდ დამკვირვებლის როლში დარჩეს.

ზრუნვის ეთიკა მნიშვნელოვანია დევნილებზე საუბრისას, რადგან ის ჟურნალისტებს დევნილების ამბების სიღრმისეულად და ემპათიით გადმოცემის საშუალებას აძლევს. უკრაინის ომის შემთხვევაში, ასეთი გაშუქება მრავლად ვნახეთ უფრო გვიან, როდესაც დევნილების პირადი ისტორიების გაშუქება დაიწყო.

თუმცა, დ'აგატას და მის კოლეგებს ზრუნვის ეთიკა თავშიც არ მოსვლიათ, რადგან თავის აღწერაში დევნილებს მთლიანად ჩამოაშორეს ადამიანობისა და ინდივიდუალურობის ყოველგვარი ნიშანი და ახლო აღმოსავლეთის მთელი რეგიონი ევროპას დაუპირისპირეს.

რისი გაუმჯობესება შეუძლიათ ჟურნალისტებს?

ამ ნაშრომში მოკლედ განვიხილე რამდენიმე მექანიზმი, რომელიც ჟურნალისტებმა საკუთარი პროფესიული სტანდარტების ასამაღლებლად შეიძლება გამოიყენონ: მათ უნდა შეძლონ საკუთარი მიკერძოების ამოცნობა, პროფესიული გადაწვეტილებების არგუმენტირებული გამართლება და მოსალოდნელი ზიანის მაქსიმალურად შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს არ აქვთ ერთი, გლობალურად აღიარებული ეთიკის კოდექსი, მათ აქვთ მორალის ფილოსოფიაში დაგროვილი ცოდნა – ყველაფერი, არისტოტელეს ნააზრევიდან, ფემინისტურ შეხედულებებამდე – რომლის გამოყენებაც ყოველი ახალი ამბის გაშუქებისას შეუძლიათ.

თუმცა, უკრაინელი მიგრანტების თემის თავდაპირველმა გაშუქებამ აჩვენა, რომ ჟურნალისტებს დასავლეთში არ აქვთ საკმარისი მზაობა იმისთვის, რომ ეთიკური გადაწყვეტილებები მიიღონ. როგორც დ'აგატასა და მისი კოლეგების სიტყვებმა გვაჩვენა, ისინი ხშირად

ზედმეტად არიან დარწმუნებულები საკუთარ უპირატესობაში და ადამიანურ ფაქტორებს არ ითვალისწინებენ.

შესაძლოა ეს ჟურნალისტები თეორეტიკოსებს ნაკლებად უსმენენ, თუმცა, მათ, სულ მცირე, კოლეგებისგან მაინც შეუძლიათ სწავლა: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი ჟურნალისტური სტანდარტების გასაუმჯობესებლად და ემპათიური გაშუქების მისაღწევად, კოლეგების ცოდნის გაზიარებაა.

დევნილებზე საუბრისას შეიძლება დაგვავიწყდეს, რომ სამშობლოში მათ ჩვეულებრივი ცხოვრება ჰქონდათ – ზოგიერთი მათგანი ჟურნალისტიც კი იყო! მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება დაეხმარება დასავლურ გამომცემლობებს თვალსაწიერის გაფართოებასა და საკუთარი მიკერძოებულობის გადააზრებაში.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა სირიის კრიზისის შემდეგ მოხდა, როდესაც „დევნილ ჟურნალისტთა პროექტის" (Refugee Journalism Project 2016-2023) ფარგლებში, ბრიტანულ გამომცემლობებში სირიიდან დევნილი ჟურნალისტები დაასაქმეს. გერმანიაში კი დიდი ყურადღება მიიპყრო სირიელმა ჟურნალისტმა ტერეკ ხელომ – არაბულად მოსაუბრე ჟურნალისტმა გააშუქა მიგრანტების პრობლემები აღმოსავლეთ გერმანიაში, რომლებიც მის გერმანელ კოლეგებს შეუმჩნეველი დარჩათ, რადგან გერმანული პრესა სირიელებს მხოლოდ ორ განზომილებაში აშუქებდა – ისინი ან ტერორისტები იყვნენ, ან ტრაგიკული გმირები (Alfred 2020). სინამდვილეში, კი დევნილთა ამბები გაცილებით რთულია, რადგან თითოეული მათგანი ადამიანია, თავისი უნიკალური გამოცდილებითა და ისტორიით.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც, განსაკუთრებით უკრაინის შემთხვევაშია წარმატებული, ადგილობრივი ჟურნალისტების დასაქმებაა. ეს მიდგომა უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე დასავლელი ჟურნალისტების გაგზავნა კონფლიქტის ზონაში, რადგანაც ადგილობრივი პროფესიონალებისთვის მიმდინარე ომი „არაა რიგითი დავალება; ეს მათი ცხოვრებაა. ისინი იცნობენ კონტექსტს, კულტურასა და ხალხს" (Murphy, Johnson, and Nieland 2022, § 13).

ეს მაგალითები ჟურნალისტებისთვის გამოსადეგია, თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მათ ეთიკური გადაწყვეტილებები ისევ თვითონ უნდა მიიღონ. თუმცა, მედიის მკვლევარებს შეუძლიათ გამოიკვლიონ, რომელ მიდგომებს მოაქვს მაქსიმალური სარგებელი რესპონდენტებისა და აუდიტორიისთვის. მეტი კვლევა არის საჭირო ჟურნალისტური ეთიკის თანამედროვე სტანდარტების, ემპათიური გაშუქებისა და რესპონდენტებზე ზრუნვის მიმართულებით, უკეთესი ჟურნალისტური სტანდარტების შესამუშავებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

Alfred, Charlotte. 2020. "Refugee Journalists Bring Access to Stories that Would Otherwise be Missed." *Nieman Foundation*, June 18, 2020. https://nieman.harvard.edu/articles/want-to-do-better-reporting-hire-people-from-the-people-you-are-reporting-on/.

Alsultany, Evelyn. 2013. "Arabs and Muslims in the Media after 9/11: Representational Strategies for a "Postrace" Era." *American Quarterly* 65, no. 1 (March): 161-169.

Bauder, Harald. 2010. "Dialectics of Media Practice." *Canadian Journal of Media Studies*, 6 (1): 1-27. http://cjms.fims.uwo.ca/issues/06-01/bauder.pdf.

Blum Lawrence, A. 1993. "Gilligan and Kohlberg: Implications for Moral Theory." In *An Ethic of Care. Feminist Interdisciplinary Perspectives*, edited by M. J. Larrabee, 49-68. New York and London: Routledge.

Buzzanell, Patrice. 2011. "Feminist Discursive Ethics." In *The Handbook of Communication Ethics*, edited by G. Cheney, S. May, and D. Munshi, 64-83. New York: Routledge.

Bok, Sissela. 1999. *Lying: Moral Choice in Public and Private Life*. Vintage.

Dyck, Arthur J. 1977. *On Human Care: An Introduction to Ethics*. Nashville: Abingdon Press.

Hossain, Mohammad Delwar, and James Aucoin. 2018. "The Ethics of Care as a Universal Framework for Global Journalism." *Journal of Media Ethics* 33, no. 4: 198-211.

Hellyer, H. A. 2022. "Opinion: Coverage of Ukraine has Exposed Long-standing Racist Biases in Western Media." *Washington Post*, February 28, 2022. https://www.washingtonpost.com/opinions/2022/02/28/ukraine-coverage-media-racist-biases/

Murphy, Emma, Jacey Johnson, and Grace Nieland. 2022. "Photojournalists Discuss Covering Ukraine at Annual Pictures of the Year Event." *Columbia Missourian*, April 23, 2022. https://www.columbiamissourian.com/news/local/photojournalists-discuss-covering-ukraine-at-annual-pictures-of-the-year-event/article_a79eb93a-c24c-11ec-a7c3-2fd1970c58a0.html.

Kant, Immanuel. 1988. *Fundamental Principles of the Metaphysic of Morals. 1785.* Translated by Thomas Kingsmill Abbott. Amherst NY: Prometheus Press.

Patrascu, Cristina. 2015. "Refugee Representations Across European Media: Discursive Constructions of Immigration." *Public Administration and Regional Studies* 8, no. 2. https://www.gup.ugal.ro/ugaljournals/index.php/pars/article/view/5672.

Persson, Veronica. 2004. "Framing Mediated Terrorism Before and After 9/11: A Comparative Study of 'Framing' Kenya and Tanzania in 1998 and Madrid 2004 in the Swedish Broadsheet of Dagens Nyheter." Master's Thesis, Stockholm University.

Refugee Journalism Project, 2016-2023. https://www.refugeejournalismproject.org/.

Triesman, Rachel. 2022. "Ukrainian Journalists Win a Pulitzer Citation for their Courage and Persistence." *NPR*, May 10, 2022. https://health.wusf.usf.edu/2022-05-10/ukrainian-journalists-win-a-pulitzer-citation-for-their-courage-and-persistence.

Wilkins, Lee, Chad Painter, and Philip Patterson. 2021. *Media Ethics: Issues and Cases.* Rowman & Littlefield.